წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი N4

ქ. წალენჯიხა 2022 წლის 8 ივნისი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა, საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია. ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ავთანდილ გაბელია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი დარსალია, ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მაია მიქავა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე მამუკა მიქავა, ფრაქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გონერ კვარაცხელია, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარია, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავა, ქონების მართვის და რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თემურ ქარდავა, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია, იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისის თავმჯდომარე რომან კვარაცხელია.

ბიუროს სხდომა დაიწყო: 11:00 სთ.
ბიუროს სხდომა დასრულდა: 11:30 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელ სალიამ ბიუროს წევრებს გააცნო

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე ;

   მომხს. კორნელი სალია

2. სხვადასხვა

ბიუროს წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

1. **მოისმინეს:** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ წამოაყენა წინადადება , რომ საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართოს 2022 წლის 13 ივნისს და ბიუროს წარუდგინა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

საკრებულოს ბიურომ ერთხმად გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართოს 2022 წლის 13 ივნისს და სხდომის დღის წესრიგის პროექტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

5. მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

6. . წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ;

8. სხვადასხვა.

2. **სხვადასხვა:** სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია , სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისის შემადგენლობაში ცვლილებასთან დაკავშირებით. კომისია დატოვა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ნანა ქობალიამ (პირადი განცხადების საფუძველზე), კომისიის შემადგენლობაში შევიდა იმავე პარტიის წევრი ავთანდილ გაბელია. სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის დასკვნის შესაბამისად, კომისიაში დაცულია ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობა. საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ გამოთქვა სურვილი სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო კომისიის წევრობასთან დაკავშირებით, რომელიც საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, უნდა იქნეს განხილული სამანდატო,

იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომაზე და წარმოდგენილ იქნეს დასკვნა აღნიშნულთან დაკავშირებით.

ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მაია მიქავამ მოითხოვა, მერიის სამსახურების და მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ა(ა)იპ-ების სამი თვის ანგარიშების დეტალურად წარმოდგენა, რაზეც საკრებულოს ბიურო ერთხმად დაეთანხმა.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია